

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი  
მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტი

წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე  
სახელმწიფოებისა და პრევენციის

ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან  
დაკავშირებით

(მიღებულია 2020 წლის 25 მარტს)

## I. შესავალი

1. სულ რაღაც რამდენიმე კვირაში, კორონავირუსმა (COVID-19) ღრმა გავლენა მოახდინა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რაც გამოიხატება პირადი გადაადგილებისა და თავისუფლებების მკაცრი შეზღუდვებით, რომლებიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი გადაუდებელი ზომების გატარებით უკეთ ებრძოლოს პანდემიას.

2. თავისუფლებააღკვეთილი პირები განსაკუთრებულად დაუცველ ჯგუფს განეკუთვნებიან იმ შეზღუდვების გამო, რომლებიც მათზე მუდმივად ვრცელდება და ასევე პრევენციული ზომების მიღების თვალსაზრისით მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. განსაკუთრებით მწვავე და მომეტებული პრობლემებია ციხეებსა და დაკავების სხვა ადგილებში, სადაც ხშირია გადატვირთულობა და ცუდი სანიტარია.

3. რამდენიმე ქვეყანაში თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პანდემიის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა უკვე გამოიწვია უსიამოვნებები როგორც მათ შიგნით, ასევე მათ გარეთ, და ზოგიერთ შემთხვევაში ფატალური შედეგიც კი. ამ ფონზე, აუცილებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და მათი ოჯახების, ასევე სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის დაწესებულებების პერსონალის ყველა უფლება სათანადოდ გაითვალისწინოს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებისას.

4. დაკავებულთა და დაკავების ადგილების თანამშრომელთა წინაშე არსებული რისკების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები უნდა ასახავდეს წინამდებარე რეკომენდაციებში წარმოდგენილ მიდგომებს და განსაკუთრებით კი პრინციპებს: "არ მიაყენო ზიანი" და "თანაბარი ზრუნვა". მნიშვნელოვანია ისიც, რომ გატარებული ზომებისა და მათი მიზეზების შესახებ არსებობდეს გამჭვირვალე კომუნიკაცია თავისუფლებააღკვეთილ პირებს, მათ ოჯახებსა და მედიას შორის.

5. დაუშვებელია წამების, სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვის უგულვებელყოფა თუნდაც ისეთი განსაკუთრებული გარემოებებისა და საგანგებო სიტუაციების დროს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ერის სიცოცხლეს.<sup>1</sup> წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა უკვე გამოსცა გაიდლაინი, რომლის მიხედვითაც, კარანტინის ოფიციალური ადგილები წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მანდატის მოქმედების არეალში შედის.<sup>2</sup> გაიდლაინი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ყველა სხვა ადგილი, რომელთა დატოვებაც პირებს ეკრძალებათ მსგავსი მიზნებისათვის, ექცევა წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მანდატის ფარგლებში და შესაბამისად, მათზე ვრცელდება წამების პრევენციის ქვეკომიტეტისა და წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმების ზედამხედველობა.

6. წამების პრევენციის ქვეკომიტეტს მრავალმა პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მიმართა თხოვნით დამატებითი რეკომენდაციებისათვის შექმნილ სიტუაციაში რეაგირებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს, როგორც ავტონომიურ ორგანოებს, აქვთ თავისუფლება თავად განსაზღვრონ ის, თუ როგორ უპასუხონ უკეთესად პანდემიის გამოწვევებს, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. თუმცა წამების პრევენციის ქვეკომიტეტი მზად არის უპასუხოს ნებისმიერ თხოვნას რჩევებთან დაკავშირებით. წამების პრევენციის ქვეკომიტეტისთვის ცნობილია, რომ სხვადასხვა გლობალური და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ უკვე გაკეთდა არაერთი ღირებული განცხადება, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინონ მონაწილე

<sup>1</sup> იხილეთ გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 2 (2), და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მე-4 და მე-7 მუხლები.

<sup>2</sup> წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს კორონავირუსთან დაკავშირებული იძულებითი კარანტინის შესახებ, მიღებულია მე-40 სესიაზე (2020 წლის 10–14 თებერვალი), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [https://www.ohchr.org/Document/HRBodies/OPCAT/NPM/2020.03.03-Advice\\_UK\\_NPM.pdf](https://www.ohchr.org/Document/HRBodies/OPCAT/NPM/2020.03.03-Advice_UK_NPM.pdf)

სახელმწიფოებმა და პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა.<sup>3,4</sup> წინამდებარე რეკომენდაციების მიზანი ასევე არის წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ფარგლებში ზოგადი მითითებების შეთავაზება ყველა იმ ორგანოსადმი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პრევენციული ვიზიტების განხორციელებაზე.

7. წამების პრევენციის ქვეკომიტეტი ხაზს უსვამს, რომ პრევენციული ვიზიტის განხორციელების ფორმაზე სავარაუდოდ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის მიღებული აუცილებელი ზომები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრევენციული ვიზიტები უნდა შეწყდეს. პირიქით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის განხორციელებული ზომების შედეგად შესაძლოა არასათანადო მოპყრობის პოტენციური რისკები კიდევ უფრო გაიზარდოს დაკავების ადგილებში. წამების პრევენციის ქვეკომიტეტი თვლის, რომ პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა უნდა გააგრძელონ პრევენციული ხასიათის ვიზიტების განხორციელება არსებული აუცილებელი შეზღუდვების დაცვით. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა უზრუნველყონ ეფექტური ზომების მიღება დაკავებულთა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკების შესამცირებლად, რაც შესაძლოა შედეგად მოყვეს იმ წინხს, რასაც დაკავების სისტემები და მათზე პასუხისმგებელი პირები ამ ვითარებაში რეალურად განიცდიან.

## II. ხელისუფლების მიერ გასატარებელი ზომები თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილთან დაკავშირებით, მათ შორის, როგორც არის საპატიმროები, საიმინგრაციო იზოლაციორები, ლტოლვილთა დახურული ბანაკები, ფსიქიატრიული და სხვა სამედიცინო დაწესებულებები

8. აქსიომას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია დაკავებული პირების ჯანდაცვაზე და ვალდებულია იზრუნოს სასჯელალსრულებისა და ჯანდაცვის სისტემების პერსონალზე. „ნელსონ მანდელას წესების“ მიხედვით, „...პატიმარი უნდა სარგებლობდეს ჯანდაცვის იგივე სტანდარტით, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის,

<sup>3</sup> იხილეთ, მაგალითად, „COVID-19-ის მართვა, პრევენცია და მზაობა ციხეებსა და დაკავების სხვა ადგილებში - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული შუალედური მითითება, 2020 წლის 15 მარტი“, გამოცემულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ; და „წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის განცხადება კორონავირუსის პანდემიის პირობებში თავისუფლებააღკვეთილი პირების მოპყრობის პრინციპებთან დაკავშირებით“, 2020 წლის 20 მარტი, CPT/Inf (2020)13 (19 მარტი, 2020).

<sup>4</sup> იხილეთ CPT/Inf (2020)13 (19 მარტი, 2020), ხელმისაწვდომია: [a20www.coe.int/en/web/cpt/-/covid-19-council-of-europe-anti-torture-committee-issues-statement-of-principles-relating-to-the-treatment-of-persons-deprived-of-their-liberty-](https://www.coe.int/en/web/cpt/-/covid-19-council-of-europe-anti-torture-committee-issues-statement-of-principles-relating-to-the-treatment-of-persons-deprived-of-their-liberty-)

და მას უნდა ჰქონდეს უფასო წვდომა ჯანდაცვის აუცილებელ მომსახურებებზე დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსისა.<sup>15</sup>

9. საპატიმროებსა და დაკავების სხვა ადგილებში ინფექციის გადადების გაზრდილი რისკის გათვალისწინებით, წამების პრევენციის ქვეკომიტეტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, რომ:

(a) ჩაატარონ დაუყოვნებელი შემოწმებები იმ პირთა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც დაკავებულთა შორის ყველაზე მეტად არიან რისკის წინაშე, და უზრუნველყონ ყველა განსაკუთრებულად დაუცველი ჯგუფის გათვალისწინება;

(b) შეამციროს ციხის მოსახლეობა და სხვა დაკავებულ პირთა რაოდენობა, თუკი ეს შესაძლებელია, ადრეული, დროებითი ან პირობით გათავისუფლების სქემების განხორციელებით, თუკი პირის მიმართ ამის გაკეთება უსაფრთხოა, „ტოკიოს წესებში“ მითითებული არასაპატიმრო ღონისძიებების სრული გათვალისწინებით;

(c) განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს დაკავების ადგილებზე, სადაც ათვისებული სივრცე აღემატება ოფიციალურად დადგენილ სტანდარტს და სადაც ოფიციალურად დადგენილ სტანდარტი განსაზღვრავს თითო პირისთვის საჭირო სივრცეს კვადრატულ მეტრში, რაც არ იძლევა სოციალური დისტანცირების დაცვის შესაძლებლობას ზოგადად ქვეყნის მოსახლეობისათვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;

(d) გადაიხედოს წინასწარი პატიმრობის ყველა შემთხვევა, რათა დადგინდეს მათი აუცილებლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციის გათვალისწინებით, ხოლო გირაოს გამოყენება გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე, გარდა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისა;

(e) გადაიხედოს საიმიგრაციო იზოლაცორებისა და ლტოლვილთა დახურული ბანაკების გამოყენება, მათი პოპულაციის მაქსიმალურად შესამცირებლად;

(f) პატიმრობიდან განთავისუფლებული პირი დაექვემდებაროს სკრინინგს, რათა მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება ინფიცირებულების ან განსაკუთრებული რისკ ჯგუფების მიმართ;

(g) დარწმუნდნენ, რომ არსებული რეჟიმების მიმართ შეზღუდვები არის მინიმალური, ჯანდაცვის გამოწვევასთან პროპორციული და კანონთან შესაბამისი;

<sup>5</sup> გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (ნელსონ მანდელას წესები), A/RES/70/175 (2015 წლის 17 დეკემბერი), წესი 24 (1).

(h) უზრუნველყონ არსებული გასაჩივრების მექანიზმების ფუნქციონირება და ეფექტურობა;

(i) უზრუნველყონ ღია სივრცეში ვარჯიშის მინიმალური მოთხოვნების დაცვა, რასაკვირველია პანდემიის წინააღმდეგ მიღებული აუცილებელი ზომების გათვალისწინებით;

(j) უზრუნველყონ საკმარისი საშუალებების მიწოდება ყველა დაკავებულისათვის (უფასოდ), რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა პირადი ჰიგიენის წესები დაიცვან ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის მსგავსად;

(k) სადაც პატიმართა პაემნების რეჟიმები იზღუდება ჯანდაცვასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, უზრუნველყონ საკმარისი საკომპენსაციო ალტერნატიული მეთოდები, რათა შენარჩუნდეს დაკავებულთა კონტაქტი ოჯახებთან და გარე სამყაროსთან, მაგალითად, ტელეფონით, ინტერნეტით/ელექტრონული ფოსტით, ვიდეო კომუნიკაციით და სხვა შესაბამისი ელექტრონული საშუალებებით; მსგავსი კონტაქტები უნდა იყოს წახალისებული, ხშირი და თავისუფალი;

(l) დაკავებულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს საშუალება მისცენ კვლავაც გააგრძელონ საკვებისა და საჭირო ნივთების მიწოდება დაკავებულთათვის, ადგილობრივი პრაქტიკის შესაბამისად და აუცილებელი დამცავი ზომების გათვალისწინებით;

(m) ის დაკავებულები, რომლებიც ყველაზე დიდი რისკის წინაშე არიან, მოათავსონ იმგვარად, რომ მოხდეს მათი მომეტებული რისკების გათვალისწინება და ასევე მათი უფლებების სრული პატივისცემა დაკავების ადგილებში;

(n) უზრუნველყონ პირის სამედიცინო იზოლაციის ისეთი პრაქტიკის პრევენცია, რომელიც თავისი არსით დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსებას წარმოადგენს; სამედიცინო იზოლაცია უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ სამედიცინო შეფასებას, უნდა იყოს პროპორციული, დროში შეზღუდული და ექვემდებარებოდეს საპროცესო გარანტიებს;

(o) უზრუნველყონ შესაბამისი საჭიროების მქონე დაკავებულების სამედიცინო დახმარება დაკავების დაწესებულების გარეთ, თუ ეს შესაძლებელია;

(p) უზრუნველყონ არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტური გარანტიების, მათ შორის დამოუკიდებელი სამედიცინო კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, მესამე მხარის ინფორმირება დაკავების შესახებ,

მისაწვდომობა და ქმედითობა, წვდომაზე არსებული შეზღუდვების მიუხედავად;

(q) უზრუნველყონ ყველა დაკავებულისა და თანამშრომლისათვის სანდო, ზუსტი და განახლებული ინფორმაციის მიწოდება ყველა მიღებული ზომის, მათი ხანგრძლივობისა და მიზეზების შესახებ;

(r) უზრუნველყონ შესაბამისი ზომების მიღება სასჯელალსრულებისა და ჯანდაცვის სისტემების თანამშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად და მათი სათანადოდ აღჭურვა და მხარდაჭერა მოვალეობების შესრულების დროს;

(s) უზრუნველყონ ზემოხსენებული ზომებისგან დაზარალებული ყველა დაკავებულის და პერსონალის სათანადო ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; და

(t) უზრუნველყონ ყველა ზემოხსენებული მოსაზრების შეძლებისდაგვარად გათვალისწინება იმ პაციენტების მიმართ, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში არანებაყოფლობით იმყოფებიან.

### III. ხელისუფლების მიერ გასატარებელი ღონისძიებები კარანტინის ოფიციალურ სივრცეებში მოთავსებული პირების მიმართ

10. წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა უკვე გააკეთა კომენტარი კარანტინში მოთავსებული პირების მდგომარეობის შესახებ წინა რეკომენდაციაში.<sup>6</sup> ამასთან დაკავშირებით, ქვეკომიტეტი დამატებით აცხადებს, რომ:

(a) მათ, ვინც დროებით არის მოთავსებული კარანტინში, ნებისმიერ დროს, კარანტინის მიზნებისათვის, უნდა ეპყრობოდნენ როგორც თავისუფალ მოქალაქეს, მათ მიმართ მოქმედი მხოლოდ აუცილებელი შეზღუდვების გათვალისწინებით, კანონის შესაბამისად და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით;

(b) მათ არ უნდა აღიქვამდნენ ან ეპყრობოდნენ როგორც „დაკავებულებს“;

(c) საკარანტინო სივრცეები უნდა იყოს ადეკვატური ზომის და უნდა უზრუნველყოფდეს შიდა გადაადგილების თავისუფლებასა და მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობების განხორციელების საშუალებას;

<sup>6</sup> იხილეთ სქოლიო 2.

(d) უნდა მოხდეს ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობის წახალისება და ხელშეწყობა შესაბამისი საშუალებებით;

(e) იმის გამო, რომ საკარანტინო ობიექტები წარმოადგენენ დე ფაქტო თავისუფლების აღკვეთის ფორმას, იქ მყოფ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ არასათანადო მოპყრობისაგან დამცავი ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ შორის, კარანტინში მოთავსების მიზეზების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა, დამოუკიდებელი სამედიცინო კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, მესამე მხარის ინფორმირება მათი კარანტინში მოთავსების შესახებ, მათი სტატუსისა და მდგომარეობის შესაბამისად;

(f) უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი ზომის მიღება კარანტინში მოთავსებული პირის რაიმე ფორმით მარგინალიზაციის ან დისკრიმინაციის პრევენციისათვის, მათ შორის, საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ; და

(g) შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც ეს სჭირდება, როგორც საკარანტინო პერიოდის განმავლობაში, ასევე მის შემდეგ.

#### IV. პრევენციის ეროვნული მექანიზმების მიერ გასატარებელი ღონისძიებები

11. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა კორონავირუსის პანდემიის დროსაც უნდა განაგრძონ მანდატის შესრულება ვიზიტების განხორციელების კუთხით, თუმცა ვიზიტების დროს უნდა მოხდეს იმ ლეგიტიმური შეზღუდვების გათვალისწინება, რომლებიც ამჟამად დაწესებულია სოციალურ კონტაქტზე. დაუშვებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმების წვდომის სრული შეზღუდვა დაკავების ოფიციალურ ადგილებზე, მათ შორის საკარანტინო სივრცეებზე, თუნდაც წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არსებული დროებითი შეზღუდვების არსებობისას.

12. წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის ამოცანა, პირველი მუხლის თანახმად, არის რეგულარული ვიზიტების სისტემის შექმნა, ხოლო მისი მიზანი, პრეამბულის თანახმად, არის „თავისუფლება აღკვეთილ პირთა დაცვა წამებისა და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან ან სასჯელისაგან“, რაც საერთაშორისო კანონმდებლობით აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულებაა. ამჟამინდელ კონტექსტში ეს ნიშნავს იმას, რომ პრევენციის ეროვნულ

მექანიზმებს დაკავების ადგილებთან მიმართებით მათი პრევენციული მანდატის შესასრულებლად ევალებათ ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს სოციალური კონტაქტის საჭიროებას, მაგრამ ამის მიუხედავად, უზრუნველყოფს ეფექტურ პრევენციულ ღონისძიებებს.

13. ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს:

- (a) მსჯელობას შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლებასთან II და III თავებში ასახული ზომების განხორციელების და მოქმედების შესახებ;
- (b) დაკავების ადგილების შესახებ ინდივიდუალური და კოლექტიური მონაცემების შეგროვებისა და შემოწმების გაძლიერება;
- (c) ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენება დაკავების ადგილებში მოთავსებულ პირებთან;
- (d) დაკავების ადგილებში პრევენციის ეროვნული მექანიზმების ცხელი ხაზის, ასევე უსაფრთხო ელ.ფოსტისა და საფოსტო ობიექტების, ამოქმედება;
- (e) დაკავების ახალი/დროებითი ადგილების მოწყობის მონიტორინგი;
- (f) ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესება დაკავების ადგილებში პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის შესახებ და სწრაფი და კონფიდენციალური კომუნიკაციის არხების უზრუნველყოფა;
- (g) მესამე მხარეებთან დაკავშირების მცდელობა (მაგ. ოჯახებთან და ადვოკატებთან), რომელთაც შესაძლოა გააჩნდეთ დამატებითი ინფორმაცია დაკავების ადგილებში არსებული სიტუაციის შესახებ; და
- (h) თანამშრომლობის გაღრმავება თავისუფლებააღკვეთილი პირების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან.

## V. დასკვნა

14. შეუძლებელია წინასწარ იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება პანდემია, ან როგორი იქნება მისი საბოლოო შედეგები. ის რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ არის ის, რომ პანდემია უკვე ახდენს ღრმა გავლენას საზოგადოების ყველა წევრზე და ეს ჯერ კიდევ გაგრძელდება. წამების პრევენციის ქვეკომიტეტსა და პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული პრინციპი - „არ მიაყენო ზიანი“ - საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს შეიძლება მოუხდეთ ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიანთი სამუშაო



მეთოდები მოარგონ პანდემიით გამოწვეულ ვითარებას, რათა დაიცვან საზოგადოება, დაკავების ადგილებში მომუშავე ადამიანები, დაკავებულები და საკუთარი თავი. მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობის ეფექტური პრევენციის უზრუნველყოფა. პრევენციის პარამეტრები გაფართოვდა იმ საგანგებო ზომებით, რომლებიც სახელმწიფოებმა მიიღეს აუცილებლობის გამო. წამებისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული მანდატის შესრულების დროს წარმოშობილ ახალ გამოწვევებს წამების პრევენციის კომიტეტმა და პრევენციის ეროვნულმა მექანიზმებმა საკუთარი წარმოსახვითი თუ კრეატიული უნარებით უნდა უპასუხონ.